სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

04/08/2026

MES 6 26 0001011640

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში სტუ) წესდების, დოქტორანტურის დებულების და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 21 ივლისის N01-05-04/91 და 2026 წლის 21 ივლისის N01-05-04/92 დადგენილებების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2026/2027 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე;
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ. ბუაჩიძეს;
3. სტუ-ის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონულ პლატფორმაზე - register.gtu.ge ან შესაბამის ფაკულტეტზე 2026 წლის 31 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით (განცხადების ფორმა იხ. დანართში 1, რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია იხ. დანართში 2);

4. ელექტრონულ პლატფორმაზე აპლიკანტის მიერ ატვირთული საბუთების პირველადი შემოწმება დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტის უფლებამოსილ პირებს (საკონტაქტო პირები ფაკულტეტების მიხედვით იხ. დანართში 3);
5. ფაკულტეტებიდან დოკუმენტაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ვიზირებული განცხადებები არსებული წესის (საქმის წარმოების სისტემის (eflow) მეშვეობით) თანახმად გადაეგზავნოს სტუ-ის ადამიანური რესურსები მართვისა და საქმის წარმოების სამსახურს;
6. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2026 წლის 8 სექტემბრის 10^{00} საათიდან, სტუ-ის I კორპუსში, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში (კომპიუტერული ცენტრი -1, მე-6 სართული, კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული; კოსტავას ქ. N68).
7. უცხო ენაში გამოცდის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს 2026 წლის 8 სექტემბერს, საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2026 წლის 8 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით 12^{00} საათამდე გამოცდის ჩატარების ადგილზე საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდეს 10 სექტემბერს სტუ-ის ვებგვერდზე;
8. გასაუბრებები საფაკულტეტო დროებით მიმღებ კომისიებთან ჩატარდეს 2026 წლის 9 სექტემბერს 10^{00} საათიდან. გასაუბრების შედეგები (საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი - ჩასარიცხ აპლიკანტთა სია) გამოქვეყნდეს სტუ-ის ვებგვერდზე 2026 წლის 10 სექტემბერს. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2026 წლის 10 სექტემბრიდან 12 სექტემბრის 14^{00} საათამდე (გარდა კვირა დღისა). ჩასარიცხ აპლიკანტთა სიები (აპელაციის გათვალისწინებით) გამოქვეყნდეს სტუ-ის ვებგვერდზე 2026 წლის 12 სექტემბერს;
9. საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში (2026 წლის 14 სექტემბერიდან 18 სექტემბრის ჩათვლით). აპლიკანტი ვალდებულია გააფორმოს უნივერსიტეტთან აკადემიური (სასწავლო) და ადმინისტრაციული (საფინანსო) ხელშეკრულებები;
10. სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში საფაკულტეტო დროებითი კომისიების თავმჯდომარეებმა მოხსენებითი ბარათები, საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი (ოქმები) და აპლიკანტთა ხელშეკრულებები (რაც წარმოადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველს) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2026 წლის 19 სექტემბრისა. სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა 2026-2027 სასწავლო წლისათვის სტუ-ის სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება), არაუგვიანეს 2026 წლის 21 სექტემბრისა;
11. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს თ. წერეთელს;
12. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
13. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ადამიანური რესურსები მართვისა და საქმის წარმოების სამსახურმა;
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი